

---

## საკანონმდებლო სიხსლენი

### საბანკო ზედამხედველობის განახლებული საკანონმდებლო ბაზა

პაატა ხოტენაშვილი\*

**2001 წლის 23 ოქტომბრის ცვლილებები და დამატებები საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ და საქართველოს კანონში „კომერციული ბანკების შესახებ“**

1995 წლის 23 ივნისის საქართველოს ორგანულმა კანონმა „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ და 1996 წლის 23 თებერვლის საქართველოს კანონმა „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ქვეყნის საბანკო სისტემის მიზანმიმართული განვითარების, კომერციული ბანკების საქმიანობის რეგულირების და ზედამხედველობის საქმეში. თუმცა აღნიშნულ კანონთა პრაქტიკაში გამოყენების ხუთწლიანმა გამოცდილებამ ცხადყო ამ სფეროს მარეგულირებელი ნორმატიული ბაზის მრავალი ნაკლოვანება. საკანონმდებლო ვაკუუმი და ზოგიერთი მუხლის დებულებების ფორმულირებასთან დაკავშირებული ხარვეზები (რაც მათი არაერთგვაროვანი განმარტების შესაძლებლობას იძლეოდა და არაერთხელ გამხდარა სასამართლო დავის საგანი) აკნინებდა ეროვნული ბანკის საზედამხედველო-მარეგულირებელ ფუნქციას და ხშირ შემთხვევაში იგი მოკლებული იყო ამა თუ იმ საკითხზე სრულყოფილი და დროული რეაგირების შესაძლებლობას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საბანკო სისტემის შემდგომი სრულყოფისა და განვითარებისათვის აუცილებელი გახდა არსებული კანონმდებლობის დახვეწა. ქვემოთ შევჩერდებით კომერციული ბანკების ზედამხედველობის გაძლიერების კუთხით განხორციელებულ საკანონმდებლო ცვლილებებზე. კერძოდ, განხილვის საგანი იქნება „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 59-ე მუხლში შესული ცვლილებები და „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონში შეტანილი ყველა მნიშვნელოვანი ცვლილება. აღნიშნული ცვლილებები და დამატებები შეეუშავდა საერთაშორისო საბანკო პრაქტიკაში დამკვიდრებულ პრინციპებსა და ნორმებზე დაყრდნობით და ძირითადად შეეხო კომერციული ბანკების ლიცენზირების, მათი საქმიანობის რეგულირების, დროებითი ადმინისტრაციის რეჟიმში მართვისა და ლიკვიდაციის საკითხებს.

#### **ცვლილებები „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 59-ე მუხლში**

ცვლილებები „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს კანონის 59-ე მუხლში დიდწილად განაპირობა იმან, რომ საყოველთაოდ აღიარებული პრინციპის შესაბამისად, ქვეყნის ცენტრალური ბანკის მარეგულირებელი უფლებამოსილება უნდა ვრცელდებოდეს ყველა ისეთი იურიდიული პირის მიმართ, რომელიც ახორციელებს დეპოზიტების მიღებას.

კომერციული ბანკებისაგან განსხვავებით არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებები არ აწარმოებენ სრულყოფილ საბანკო მომსახურებას და ისინი, როგორც წესი, არ განიხილებიან ტიპიურ საბანკო დაწესებულებებად. ამასთან, დღესდღეისობით საქართველოში უკვე მოქმედებს

\* ეროვნული ბანკის იურიდიული სამმართველოს უფროსი.

სპეციალური კანონი, რომელიც არეგულირებს არასაბანკო სადეპოზიტო დანესებულებების საქმიანობას. თუმცა, ვინაიდან კომერციული ბანკების მსგავსად არასაბანკო სადეპოზიტო დანესებულებების საქმიანობა დაკავშირებულია დეპოზიტების მიღებასთან, „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ ორგანული კანონი უნდა ითვალისწინებდეს არასაბანკო სადეპოზიტო დანესებულების საქმიანობაზე ეროვნული ბანკის მიერ საზედამხედველო და მარეგულირებელი ფუნქციის გავრცელების შესაძლებლობას. სწორედ ამ მიზნით, ორგანული კანონის რიგ მუხლებში ბანკებისა და ვალუტის გადამცვლელი პუნქტების შემდეგ დამატებულია სიტყვები „არასაბანკო სადეპოზიტო დანესებულება“. შესაბამისად, ვინაიდან კომერციული ბანკების, ვალუტის გადამცვლელი პუნქტების და არასაბანკო სადეპოზიტო დანესებულებების ლიცენზირება, ზედამხედველობა, მათი საქმიანობის რეგულირება, დროებითი ადმინისტრაციის რეჟიმში მართვა და ლიკვიდაცია წარმოადგენს საბანკო ზედამხედველობის მთლიანი ციკლის სხვადასხვა პროცესს, 59-ე მუხლის ახალი რედაქცია სრულყოფილად ასახავს ეროვნული ბანკის, როგორც საბანკო სისტემის მარეგულირებელი ორგანოს ძირითად უფლება-მოვალეობებს.

საბანკო ზედამხედველობის უფრო სრულყოფილი და საფუძვლიანი განხორციელებისათვის ეროვნულ ბანკს 59-ე მუხლის მე-2 პუნქტის ახალი რედაქციით მიეცა უფლებამოსილება სრული ინფორმაცია მოითხოვოს არა მხოლოდ კომერციული ბანკის ან არასაბანკო სადეპოზიტო დანესებულებისაგან, არამედ მათი მაკონტროლებელი პირებისგანაც. აღნიშნული ცვლილება განპირობებულია იმით, რომ ეროვნულ ბანკს უნდა ჰქონდეს სრული ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რეალურად ვინ აკონტროლებს ბანკს. საბანკო სისტემაში არცთუ იშვიათად ვხვდებით ისეთ შემთხვევას, როდესაც კომერციული ბანკების დამფუძნებლებად გვევლინებიან საზღვარგარეთ დაფუძნებული იურიდიული პირები. ამდენად, ინფორმაციის მიღება მხოლოდ კომერციული ბანკისაგან მისი დამფუძნებლებისა და დამფუძნებლების უკან მდგომი პირების შესახებ შეიძლება არ იყოს საკმარისი რეალური სურათის შესაქმნელად. კანონის ახალი რედაქცია საშუალებას აძლევს ეროვნულ ბანკს უშუალოდ მიმართოს ბანკის დამფუძნებლებს ინფორმაციის მისაღებად და უფრო მეტიც, გამოიკვლიოს, თუ რეალურად ვინ ახორციელებს კონტროლს კომერციულ ბანკსა თუ არასაბანკო სადეპოზიტო დანესებულებებზე და გამოიძიოს მათი კაპიტალის წარმოშობის წყაროები. საინტერესოა, რომ ამ ინფორმაციის მიუწოდებლობის შემთხვევაში 59-ე მუხლის მე-3 პუნქტის ახალი რედაქციით ეროვნულ ბანკს მიენიჭა უფლება, მოითხოვოს კომერციულ ბანკზე მაკონტროლებელი პირების კონტროლის გაუქმება ან შეზღუდვა. აღნიშნული ცვლილებები განპირობებულია, ერთი მხრივ, საბანკო ზედამხედველობის ეფექტიანობის ამაღლების საჭიროებით და, მეორე მხრივ, უკანონო შემოსავლებისა და ე.წ. „შავი“ ფულის ლეგალიზაციისათვის საბანკო სისტემის გამოყენების აღკვეთის აუცილებლობით.

საბანკო სისტემის სტაბილურობის და დეპოზიტების უსაფრთხოების მიზნით, 59-ე მუხლის მე-6 პუნქტით ეროვნულ ბანკს მიენიჭა უფლებამოსილება, განსაკუთრებულ შემთხვევაში, თავისი სახსრებით შექმნას და მართოს დროებითი ბანკი. ასეთი დროებითი ბანკის შექმნა გამართლებულია მხოლოდ იმ დროს, როცა პრობლემური ბანკი განიცდის სერიოზულ ფინანსურ სიძნელეებს, რაც გამოიხატება უხარისხო აქტივებში, მცირე შემოსავლებში, ლიკვიდური სახსრების უკმარისობაში და მართვის სისტემების სისუსტეში. იმავდროულად, დროებითი ბანკის შექმნისათვის აუცილებელია, რომ დროებითი ბანკი ფლობდეს საბანკო აქტივების, ვალდებულებების და, მათ შორის, დეპოზიტების მნიშვნელოვან წილს, გააჩნდეს ფილიალების ფართო ქსელი და, ამდენად, მისი ლიკვიდაციის შესაძლებლობა საბანკო სისტემაში არალიკვიდობის, უმართავი პროცესებისა და კრიზისის საფრთხეს წარმოშობდეს. ასეთი მდგომარეობის თავიდან აცილება კი ეროვნული ბანკის ერთ-ერთ მთავარ ფუნქციას წარმოადგენს. დროებითი ბანკის საქმიანობა კომერციული ბანკის საქმიანობის ანალოგიური იქნება მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ დროებითი ბანკის ერთპიროვნული დამფუძნებელი და მმართველი იქნება ეროვნული ბანკი, მის მიერ შექმნილი სამეთვალყურეო

საბჭოსა და დირექტორატის მეშვეობით. დროებითი ბანკის მთავარი ფუნქციაა თავის თავზე აილოს მნიშვნელოვანი და იმავდროულად სერიოზული ფინანსური სიძნელების მქონე ბანკის აქტივები და ვალდებულებები, გააუმჯობესოს ბანკის აქტივების ხარისხი, მომგებიანობა, ლიკვიდობა, მართვის სისტემები, გააძლიეროს ბანკის ფინანსური მდგომარეობა და ამის შემდგომ უზრუნველყოს ახალი ინვესტორის მოძებნა, რომელიც ჩაენაცვლება ეროვნულ ბანკს.

**ცვლილებები და დამატებები საქართველოს კანონში „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“**

ვინაიდან 2001 წლის 23 ოქტომბერს „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებები საკმაოდ მრავალრიცხოვანია, ქვემოთ შევჩერდებით მათგან ყველაზე მნიშვნელოვანზე.

კანონის ახალი რედაქციით დაზუსტდა და უნიფიცირებულ იქნა კაპიტალის განმარტებანი. კაპიტალის სახეობებთან დაკავშირებული ცვლილებები გამონვეულია იმ მიზეზით, რომ კანონში ნათლად უნდა იყოს განსაზღვრული, თუ კაპიტალის რომელი სახეობა გამოიყენება თითოეული მუხლით განსაზღვრული დებულებისთვის. ამდენად, ტერმინთა განმარტებებში შეტანილ იქნა კანონში გამოყენებული კაპიტალის სხვადასხვა სახეობის განსაზღვრება.

„საზედამხედველო კაპიტალი“ - კანონში შესული ცვლილების შესაბამისად, ეს არის კაპიტალის სახეობა, რომელიც შეიძლება ბანკის მიერ გამოყენებული იქნეს სხვადასხვა სახის რისკისაგან თავის დასაცავად და მისი საქმიანობის შედეგად წარმოქმნილი ზარალის დასაფარად. იგი მოიცავს სანესდებო კაპიტალს, გაუნაწილებელ მოგებას და სპეციალური დანიშნულების რეზერვებს. საზედამხედველო კაპიტალში არ შეიძლება ჩაითვალოს სხვა სანარმოების სანესდებო კაპიტალში შეტანილი ბანკის კაპიტალის ნაწილი, ასევე, არამატერიალური აქტივები.

„სააქციო კაპიტალი“ - ეს არის კაპიტალის სახეობა, რომლის ოდენობა გამოითვლება ბანკის აქტივების ოდენობისათვის მისი ვალდებულებების ოდენობის გამოკლებით.

„განცხადებული კაპიტალი“ - ეს არის „მენარმეთა შესახებ“ კანონის შესაბამისად ბანკის წესდებაში დაფიქსირებული კაპიტალის ზღვრული ოდენობა, რომლის უკვე შევსებულ ნაწილს შეადგენს ე.წ. „განადღებული სანესდებო კაპიტალი“.

კანონის მე-2 მუხლის 1-ლი პუნქტის ცვლილება მიზნად ისახავს კანონის გამოყენების სფეროს დაკონკრეტებას, ნაცვლად ზოგადი ჩანაწერისა, იმის თაობაზე, რომ კანონი გამოიყენება ყველა პირის მიმართ ვინც, საქართველოს ტერიტორიაზე ახდენს ფულადი სახსრების მოზიდვას და მათი გამოყენებით კრედიტების გაცემას (რაც შეიძლება მოიცავდეს საკრედიტო დაწესებულებებს, სატრასტო კომპანიებს, არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებებს და ა.შ.), კანონის ახალ რედაქციაში მისი რეგულირების სფერო შემოიფარგლა კომერციული ბანკებით. შეტანილი ცვლილების მიხედვით კომერციული ბანკი უნდა ჩამოყალიბდეს მხოლოდ სააქციო საზოგადოების ფორმით. ეს განპირობებულია იმით, რომ სააქციო საზოგადოების ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა, განსაკუთრებით მისი მმართველობითი ორგანოების ფორმირების და საქმიანობის პრინციპები, გაცილებით უკეთ რეგულირდება მოქმედი კანონმდებლობით. ამასთან, ეს ორგანიზაციული ფორმა უფრო მოქნილია და უკეთ ესადაგება საბანკო სისტემის მოთხოვნებს.

მე-2 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, საბანკო საქმიანობასთან დაკავშირებულ ურთიერთობებში ამ კანონს სხვა კანონებთან კოლიზიის შემთხვევაში უპირატესი ძალა მიენიჭა. აღნიშნული მეტად მნიშვნელოვანია მისი პრაქტიკაში გამოყენებისთვის და სრულად შეესაბამება დამკვიდრებულ პრინციპს სპეციალური კანონმდებლობის უპირატესი ძალის შესახებ.

ცვლილებები შეეხო ლიცენზირების პროცედურასაც. მე-3 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, შუამდგომლობას ლიცენზიის მისაღებად სხვა საბუთებთან ერთად თან უნდა ერთვოდეს ინფორმაცია განცხადებული სანესდებო კაპიტალისა და საზედამხედველო კაპიტალის წარ-

მოშობის შესახებ. აღნიშნული მუხლის ახალი რედაქცია, „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ ორგანული კანონის 59-ე მუხლში შეტანილი ცვლილების მსგავსად, მიზნად ისახავს, „ფულის გათეთრების“ მიზნით საბანკო სისტემის გამოყენების თავიდან აცილებას, რასაც მზარდი მნიშვნელობა ენიჭება მსოფლიოში უკანონო შემოსავლებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ მიმდინარე კამპანიის ფონზე. ამავე მიზანს ემსახურება მე-4 მუხლის 1-ლ პუნქტში შეტანილი ცვლილება, რომლის თანახმად, ლიცენზირების საკითხის განხილვის ვადა სამ თვემდე გაიზარდა. ლიცენზიის გაცემის საკითხის განხილვისათვის სამთვიანი ვადის დანესება ძირითადად გამოწვეულია ბანკის სანესდებო კაპიტალში შენატანების წყაროებისა და მათი წარმოშობის დადგენის აუცილებლობით. ამისათვის, პრაქტიკული გამოცდილებიდან გამომდინარე, კანონის პირვანდელი რედაქციით გათვალისწინებული ერთთვიანი ვადა ხშირ შემთხვევაში საკმარისი არ იყო.

კანონის ახალი რედაქციით სრულყოფილია საბანკო ლიცენზიის მისაღებად აუცილებელი კრიტერიუმები და მოთხოვნები. მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი და მე-4 პუნქტი მთლიანად ეთმობა ბანკის დირექტორატის მიმართ დანესებულ მოთხოვნებს. დირექტორს მეტად მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ბანკის ჯანსაღი ფუნქციონირებისათვის, ვინაიდან ეს არის პირი, რომელიც ბანკის ყოველდღიურ მართვას ახორციელებს. ამდენად, სრულიად ლოგიკურია კანონის მოთხოვნა ბანკის დირექტორობის კანდიდატისადმი საზედამხედველო ორგანოს (ეროვნული ბანკის) მიერ სპეციალური კრიტერიუმების დანესების თაობაზე. კანონი ანებს დირექტორის კანდიდატურასთან დაკავშირებულ მთელ რიგ შეზღუდვებს, რათა თავიდან იქნას აცილებული ბანკის მმართველობის ისეთ პირთა ხელში მოქცევა, რომელთა წარსული პროფესიული გამოცდილება საეჭვოდ შეიძლება იქნას მიჩნეული.

მე-6 მუხლის 1-ლ პუნქტში კვლავ დაფიქსირდა ეროვნული ბანკის ერთპიროვნული უფლებამოსილება საბანკო საქმიანობის ლიცენზიის გაუქმებაზე და დაკონკრეტებულ იქნა საბანკო ლიცენზიის გაუქმების პირობები. უნდა აღინიშნოს, რომ ეროვნული ბანკის ეს უფლებამოსილება ერთი პერიოდი სადავოდ იყო გამხდარი. ამას გარკვეულწილად ხელი შეუწყო 1999 წლის 26 ივნისის „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ კანონში შეტანილმა ცვლილებებმა, რომლის თანახმად, მე-6 მუხლიდან ამოღებულ იქნა პირდაპირი მითითება იმის თაობაზე, რომ საბანკო საქმიანობაზე ლიცენზია უქმდება ეროვნული ბანკის გადაწყვეტილებით, აგრეთვე „სამენარჩეო საქმიანობის ლიცენზირების შესახებ“ კანონის 1999 წლის 1 ივლისიდან სამოქმედოდ შემოღებამ, რომლის შესაბამისად ლიცენზიის გაუქმებას ახდენდა შესაბამისი სასამართლო განსჯადობის მიხედვით. მიუხედავად ამისა, „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ კანონის ზოგიერთ სხვა მუხლში (მე-7, 30-ე) ისევე, როგორც „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ ორგანულ კანონში კვლავ არსებობდა ჩანაწერი ლიცენზიის გაუქმების თაობაზე ეროვნული ბანკის უფლებამოსილების შესახებ. ყოველივე ზემოაღნიშნულმა გამოიწვია დავა ეროვნულ ბანკსა და კომერციულ ბანკებს შორის, რაც სასამართლო განხილვით დასრულდა. სასამართლო გადაწყვეტილებამ დაადასტურა ეროვნული ბანკის უფლებამოსილება საბანკო ლიცენზიის გაუქმებაზე, თუმცა საკითხი საბოლოოდ მხოლოდ წინამდებარე ცვლილებით გადაიჭრა, როდესაც მე-6 მუხლში აღდგა ჩანაწერი, რომლის თანახმადაც „საბანკო ლიცენზია შეიძლება გაუქმდეს მხოლოდ ეროვნული ბანკის გადაწყვეტილებით“.

საბანკო ლიცენზიის გაუქმება შეიძლება განხორციელდეს თვით კომერციული ბანკის მოთხოვნით. ამ შემთხვევაში ბანკმა წერილობით უნდა მიმართოს ეროვნულ ბანკს და, ამასთან, მე-7 მუხლის ახალი რედაქციის თანახმად უნდა დაასაბუთოს თავისი თხოვნა. ამ შემთხვევაშიც კი, საბანკო სისტემის ან შენაბრეთა ინტერესებიდან გამომდინარე, ეროვნული ბანკი უფლებამოსილია უარი თქვას საბანკო ლიცენზიის გაუქმებაზე.

მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის ცვლილება მიზნად ისახავს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზიის გაუქმებისთანავე იურიდიული პირის ლიკვიდაციის პროცესის დაწყების და შეუფერხებელ დანწყებას, რათა არ მოხდეს ამ პროცესის გაჭიანურება და ამით

ზიანი არ მიადგეს კომერციული ბანკის კრედიტორებს და მეანაბრებს. უნდა ითქვას, რომ აქამდე ლიცენზიის ჩამორთმევა არ ითვლებოდა ბანკის, როგორც იურიდიული პირის, ლიკვიდაციის საფუძვლად.

მე-8 მუხლის ცვლილებით დაიხვეწა ლიცენზიის გაუქმების შესახებ გადაწყვეტილების გამოქვეყნების და მისი ძალაში შესვლის პირობები, ვინაიდან გამოქვეყნებამ შეიძლება გარკვეული დრო წაილოს და წარმოშვას დროის შუალედი გადაწყვეტილების მიღებასა და მის ძალაში შესვლას შორის. ეს კი, თავის მხრივ, ქმნის ბანკიდან იმ აქტივების უკანონოდ გადინების საფრთხეს, რომელთა უკან დაბრუნება ძალზე რთული ან საერთოდ შეუძლებელი იქნება.

მე-9 მუხლის ახალი რედაქციით დგინდება კომერციული ბანკების საქმიანობის პროცესში აუცილებელი კაპიტალის სახეობის – „საზედამხედველო კაპიტალის“ – ოდენობის და ფორმირების წესის ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრის უფლებამოსილება, რაც ბანკის სტაბილურობისა და ლიკვიდურობის ერთ-ერთ მთავარ წინაპირობას წარმოადგენს და იგი ბანკის რისკებისაგან დაცვის ერთ-ერთ მთავარ ინსტრუმენტად გვევლინება.

მე-10 მუხლის ცვლილებით ზუსტდება კომერციული ბანკების მიერ სხვა საწარმოში ნილობრივი მონაწილეობის შეზღუდვები. ამასთან, „ხელუხლებელი კაპიტალისა და რეზერვების“ ტერმინის ნაცვლად მკვიდრდება ტერმინი „სააქციო კაპიტალი“, რომელიც შეესაბამება საერთაშორისო პრაქტიკაში გამოყენებულ ტერმინს და ასახავს სხვაობას ბანკის აქტივებსა და ვალდებულებებს შორის.

იგივე მუხლი ითვალისწინებს, რომ ბანკის აქციების 5 პროცენტის და მეტი წილის შექმნის შემთხვევაში აუცილებელია ამის შესახებ ეროვნული ბანკის შეტყობინება. ასეთი მოთხოვნის შემოღება განპირობებულია იმ გარემოებით, რომ 5 პროცენტისა და მეტი აქციების მფლობელი პირი იქნეს ბანკზე გარკვეული კონტროლის უფლებას და მას შეუძლია ზეგავლენა მოახდინოს ბანკის საქმიანობაზე და მართვაზე. ეროვნული ბანკი, როგორც საბანკო სისტემის სტაბილურობაზე პასუხისმგებელი ორგანო, უნდა ფლობდეს სრულ ინფორმაციას ბანკის მაკონტროლებელი პირების შესახებ. დადგენილ ვადაში ინფორმაციის მიუწოდებლობის შემთხვევაში კანონის ახალი რედაქცია ითვალისწინებს აქციონერისათვის ხმის უფლების ჩამორთმევის შესაძლებლობას აქციონერთა საერთო კრებაზე. შინაარსით ეს ცვლილება „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ ორგანული კანონის 59-ე მუხლში განხორციელებული ცვლილებების მსგავსია და ითვალისწინებს მესაკუთრის უფლებათა გარკვეულ შეზღუდვას საზოგადოების ინტერესების სასარგებლოდ.

მე-17 მუხლში შეტანილი ცვლილება მხოლოდ რედაქციული ხასიათისაა და იგი არ ცვლის საბანკო საიდუმლოების ობიექტს, ვინაიდან ადრე არსებული ჩანაწერის შესაბამისად საბანკო საიდუმლოებას წარმოადგენდა „ცნობები იურიდიული და ფიზიკური პირების ოპერაციებისა და ანგარიშების შესახებ“, ხოლო ახლებური რედაქცია საბანკო საიდუმლოებად მიიჩნევს „ცნობებს იურიდიული და ფიზიკური პირების ანგარიშების, ოპერაციებისა და ნაშთების შესახებ“, რაც არსებითად იგულისხმებოდა ძველი რედაქციითაც.

საბანკო სექტორის სტაბილური განვითარებისათვის მეტად მნიშვნელოვანია ჯანსაღი კონკურენტული გარემოს შექმნა და ამ თვალსაზრისით ყოველგვარი სპეკულაციის აღკვეთა, როგორც ეკონომიკური ბერკეტების, ასევე ძლიერი საკანონმდებლო ბაზისა და საბანკო ზედამხედველობის საშუალებით. სწორედ ამ მიზანს ემსახურება 22-ე მუხლში შესული დამატება, რომლის შესაბამისად თითოეულ კომერციულ ბანკს ეკრძალება დადოს, თავისი შინაარსით კაბალური, ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც კრედიტის ან რაიმე სახის საბანკო მომსახურების განწესის პირობა იქნება უშუალოდ ბანკის ან მისი შვილობილი თუ „მონათესავე საწარმოს“ არასაბანკო მომსახურების შესყიდვა.

საბანკო საქმიანობის განვითარებისათვის მეტად მნიშვნელოვანი საკანონმდებლო სიახლე იყო „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ კანონში IV<sup>1</sup> თავის „კომერციული ბანკე-

ბის საქმიანობასთან დაკავშირებული ზოგიერთი დავის განხილვის თავისებურება“ დამატება. საბანკო საქმე ვერ განვითარდება, თუ კომერციულ ბანკებს არ ექნებათ საშუალება გასცენ კრედიტები ჯეროვანი უზრუნველყოფით და საჭიროების შემთხვევაში მოახდინონ ამ უზრუნველყოფის სწრაფი რეალიზაცია, რათა შესაბამის დონეზე შეინარჩუნონ თავიანთი ლიკვიდობა. გირაო და იპოთეკა საბანკო კრედიტის უზრუნველყოფის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სახეს წარმოადგენს, მაგრამ მოუქნელი პროცედურის გამო ხშირად მნიშვნელოვნად ჭიანჭურდება მათი რეალიზაცია, რაც სერიოზულ სიძნელებებს უქმნის კომერციულ ბანკებს.

არსებული სამოქალაქო და სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის შესაბამისად გირავნობით ან იპოთეკით დატვირთული ნივთის რეალიზაციის შესახებ მოგირავნის ან იპოთეკარის განცხადება განიხილება საერთო წესით, რაც გულისხმობს მართლმსაჯულების სამი ინსტანციის გავლას და დროისა და ძალისხმევის დიდ დანაკარგებს, რაც შეუთავსებელია საბანკო ოპერაციების სისწრაფისა და მასობრიობის პრინციპებთან. სწორედ ამ პროცედურის გაიოლებას ემსახურება აღნიშნული ცვლილება, რომლის შესაბამისად იპოთეკით და გირავნობით დატვირთული ქონების რეალიზაციის შესახებ კომერციული ბანკების განცხადებები განიხილება პირველი ინსტანციით საოლქო სასამართლოს მიერ მათი შეტანიდან 20 დღის ვადაში, ხოლო გადაწყვეტილება კი შეიძლება გასაჩივრდეს მხოლოდ უზენაეს სასამართლოში.

გამომდინარე იქედან, რომ აღნიშნული ცვლილებები არ შესულა შესაბამის საპროცესო კანონმდებლობაში, სასამართლო ხელისუფლება მათ სრულ იგნორირებას ახდენს. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ეს საკითხი უახლოეს მომავალში დარეგულირდება, რაც უდავოდ პოზიტიურ როლს ითამაშებს საბანკო სექტორის განვითარებაში.

მნიშვნელოვანი ცვლილებები იქნა შეტანილი კანონის 30-ე მუხლში „დარღვევები და სანქციები“. ამ მუხლის მე-3 პუნქტის ახალი რედაქცია უფრო ზუსტად განსაზღვრავს ბანკების მიმართ სანქციების გამოყენების საფუძვლებს, რომელიც ნებისმიერ შემთხვევაში უნდა ეფუძნებოდეს დარღვევის და აქტივების შესაძლო თუ არსებული რისკის სერიოზულობას. ასეთ შემთხვევაში ბანკის მიმართ უნდა გამოიყენებოდეს დარღვევის გამოსწორებისათვის აუცილებელი შესაბამისი ღონისძიება და სანქცია, რომელსაც კავშირი არა აქვს რაიმე თანმიმდევრობასთან, ვინაიდან არც ბანკის დარღვევებია თანმიმდევრული და მათი სერიოზულობა დგინდება თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში. ამასთან, მნიშვნელოვანი სიახლეა ფინანსური სანქციების გამოყენების შესაძლებლობა უშუალოდ ბანკის ადმინისტრატორების მიმართ, რადგან უმრავლეს შემთხვევაში ბანკის ადმინისტრატორის არასწორი თუ კანონსაწინააღმდეგო ქმედებით თვით ბანკს ადგება ზიანი და ამისათვის კვლავ ბანკის დაჯარიმება არ იქნებოდა მიზანშეწონილი.

34-ე მუხლის ცვლილებებით იზრდება და კონკრეტდება ბანკის დროებითი ადმინისტრატორის უფლება-მოვალეობები, ამასთანავე, კონკრეტდება მის მიერ ბანკის ფინანსური მდგომარეობის გაჯანსაღებისათვის გასატარებელი ღონისძიებები.

37-ე მუხლის ცვლილება მნიშვნელოვანია, ვინაიდან ლიკვიდატორის პიროვნებასთან დაკავშირებული შეზღუდვით უზრუნველყოფილი იქნება ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილება. მუხლის ახალი რედაქციით აგრეთვე იზრდება ბანკის ლიკვიდატორის უფლებამოსილება, რათა უზრუნველყოფილ იქნას ლიკვიდაციის პროცესის შეუფერხებელი წარმართვა და მაქსიმალურად იქნას დაცული ბანკის მენაბრეთა და დეპოზიტორთა ინტერესები ფულადი სახსრების მიღებასთან დაკავშირებით.

ამრიგად, 2001 წლის 23 ოქტომბერს საქართველოს საბანკო კანონმდებლობაში განხორციელდა მნიშვნელოვანი ცვლილებები, რაც უდავოდ ხელს შეუწყობს ქვეყანაში საბანკო და საფინანსო მომსახურების ბაზრის სრულყოფას, თუმცა მსოფლიოში საბანკო სექტორის სწრაფი განვითარების ტენდენციიდან გამომდინარე, აღნიშნული კანონმდებლობა ახლო მომავალში კვლავ მოითხოვს მნიშვნელოვან განახლებას.